პირველი არხი

1TV.GE

საზოგადოებრივი მაუწყებლის
წინასაარჩევნო მონიტორინგი

ანგარიში

13 აგვისტო - 30 ოქტომბერი
2021

საზოგადოებრივი მაუწყებლის
წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში

(13 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით)

შინაარსი

პირველი არხი 5

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით 15

საქართველოს რადიო 18

პირველ არხზე და საქართველოს რადიოში
საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დრო 22

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია დემოკრატიის ქვაკუთხედია. მისი როლი განსაკუთრებით იზრდება არჩევნების პერიოდში, როდესაც პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირება მცდარი, ზოგჯერ მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელების საფრთხეს ქმნის, მოქალაქეებში კი დაუცველობის გრძნობას ამძაფრებს. ამ პირობებში კიდევ უფრო აქტუალური ხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქცია, სანდო და გადამოწმებული ინფორმაციით უზრუნველყოს მაყურებელი.

სწორედ საკუთარი მისიიდან და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგს.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს:

- დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის თანაბარი და დაბალანსებული გაშუქების უზრუნველყოფა
- ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის მაღალი ნეიტრალური მაჩვენებლის შენარჩუნება

ზოგადი ინფორმაცია
მაუწყებლის შიდა მონიტორინგის შესახებ:

საზოგადოებრივი მაუწყებელი 13 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით აწარმოებდა 2021 წლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების გაშუქების შიდა მონიტორინგს. მონიტორინგი ეხებოდა პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო გადაცემებს. მონიტორინგის მიზანი მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლა იყო.

მონიტორინგი მიმდინარეობდა სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით, ხოლო გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა პლატფორმისა და გადაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები. მონიტორინგის პროგრამა საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს გადამოწმდეს ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები.

მონიტორინგის პროცესში გაიზომა:

- გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობრივი მონაცემები
- საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, ქრონომეტრაჟის და ტონის მიხედვით
- არასაარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დრო

მონიტორინგის სუბიექტებად, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების გარდა, ჩათვლილია მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტი, ადგილობრივი თვითთმართველობები. მიხეილ სააკაშვილის გაშუქება ჩათვლილია ნაციონალური მოძრაობის, ხოლო ბიძინა ივანიშვილის - ქართული ოცნების გაშუქებად.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

წინასაარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს სუბიექტის პირდაპირ და ირიბ გაშუქებას, დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური).

- პირდაპირ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტი თავად საუბრობს
- ირიბ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობენ სხვები

მონიტორი აღნიშნავს სუბიექტის მიერ ნახსენებ ყველა ობიექტს ცალ-ცალკე, ქრონომეტრაჟის და გაშუქების ტონის მითითებით. საარჩევნო მონიტორინგის დროს ქრონომეტრაჟი არ მრგვალდება.

ქრონომეტრაჟი ითვლება, როცა სუბიექტი:

- ჩანს კადრში

- კადრში საუბრობს
- ისმის მხოლოდ ხმა
- მასზე საუბრობენ სხვები
- ჩანს სუბიექტის საიმიჯო ატრიბუტიკა

გაშუქების ტონის განსაზღვრისას:

- ნეგატიურად ითვლება გამომსვლელის მიერ მწვავე, უარყოფითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
- პოზიტიურად ითვლება გამომსვლელის მიერ დადებითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები
- ნეიტრალურად ითვლება სიტუაციის აღწერა, ფაქტების დაფიქსირება, ასევე ინფორმაცია, რომელიც არ გამოხატავს გამომსვლელის დამოკიდებულებას, მშრალად, დადებითი და ნეგატიური კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენების გარეშე აღწერს მოვლენებს.

მონიტორინგი ასახავს, როგორც სუბიექტებისათვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ასევე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების დროს და ტონს.

წარმოგიდგენთ პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო გადაცემების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის მთლიან ანგარიშს. ანგარიში ასევე მოიცავს პირველ არხზე გაშუქებული სუბიექტების მონიტორინგს სქესის ჭრილში და საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დროის მონიტორინგს პირველ არხზე და საქართველოს რადიოში.

პირველი არხი

„მოამბის'' ყოველდღიური, შვიდივე გამოშვების (მოამბე (08:00) მოამბე (09:00) მოამბე (10:00) მოამბე (12:00) მოამბე (15:00) მოამბე (18:00) მოამბე (21:00)), მოამბის სპეციალური გამოშვებების და გადაცემა „ახალი კვირის" წინასაარჩევნო მონიტორინგის დროს გაიზომა როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო თემებში გაშუქებული მონიტორინგის ყველა სუბიექტი.

მონიტორინგის საარჩევნო სუბიექტები

ანგარიშში დაჯგუფებულია მონიტორინგის საარჩევნო სუბიექტები. მათ შორის რეგისტრირებული პარტიების გარდა, ნაჩვენებია დამოუკიდებელი კანდიდატების გაშუქების ხანგრძლივობა ჯამურად (წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი)

საანგარიშო პერიოდში, ზემოთ აღნიშნულ გადაცემებში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობაა 2605 , დათმობილი დრო 119:53:31 (ასცხრამეტი საათი, ორმოცდაცამეტი წუთი და ოცდათერთმეტი წამი).

მონიტორინგის მიხედვით სულ გაშუქდა 34 საარჩევნო სუბიექტი მათივე აქტივობის შესაბამისად. პირდაპირ დათმობილი დრო - 49:00:45 (ორმოცდაცხრა საათი, ნული წუთი და ორმოცდახუთი წამი).

საარჩევნო სუბიექტებს შორის გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს პარტიებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო". ეს მონაცემი ამავდროულად აჩვენებს საარჩევნო კამპანიის პოლარიზაციის ხარისხს და იმას, რომ ამომრჩევლის ყურადღება მთლიანად კონცენტრირებულია ორი დაპირისპირებული ძალის აქტივობებზე, რომელთაც სხვა პოლიტიკური სუბიექტები მკვეთრად ჩამორჩებიან. არსებული ორპოლუსიანი პოლიტიკური გარემო, მისი ყველაზე აქტიური და პასიური სუბიექტებით, პირდაპირპროპორციულად ასახულია მოამბის ეთერში და შესაბამისად ჩანს მონიტორინგის შედეგებში. ამასთანავე საარჩევნო სუბიექტების გაშუქებაზე დინამიკაში დაკვირვება აჩვენებს, რომ საარჩევნო პროცესზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1 ოქტომბერს მიხელ სააკაშვილის ჩამოსვლის, მისი დაკავებისა და გამოცხადებული შიმშილობის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა. აღნიშნული მოვლენების შესახებ განცხადებები და შეფასებები დომინანტურად შუქდებოდა ყველა საინფორმაციო გამოშვებაში, შესაბამისად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მაღალი ირიბი გაშუქების ხარჯზე დაწინაურდა სხვა საარჩევნო სუბიექტებს შორის.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით ნაციონალური მოძრაობის გარდა ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტის პირდაპირი გაშუქება მეტია ირიბ გაშუქებაზე. ეს ტენდენცია ასახავს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიდგომას, ნაკლები ინტერპრეტაციის და პერეფრაზის გამოყენებით, პირდაპირი საუბრის გზით ასახოს რეალობა.

ასევე, მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა ზოგადად ოპოზიციის ირიბი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი (04:13:26), იგულისხმება ტექსტები სადაც არ იყო დასახელებული არც ერთი კონკრეტული პარტია, ამიტომ ეს მონაცემი არ მიეკუთვნა არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს და შესაბამისად არ შედის საერთო მონაცემებში.

ცხრილი N1 – „მოამბეში" და „ახალ კვირაში" საარჩევნო სუბიექტების გაშუქება დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მითითებით. ცხრილი არ ასახავს სუბიექტებს 1 წუთზე ნაკლები მაჩვენებლით

საარჩევნო სუბიექტები	დათმობილი დრო	%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	27:36:48	31.74%
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	25:15:25	29.03%
ლელო	7:24:05	8.51%
მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	5:30:08	6.32%
გახარია - საქართველოსთვის	3:47:12	4.35%
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის	3:37:51	4.17%
გირჩი	2:32:46	2.93%
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება	1:50:22	2.11%
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	1:34:46	1.82%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	1:17:41	1.49%
ელენე ხოშტარია - დროა	1:12:06	1.38%
ანა დოლიძე - ხალხისთვის	1:11:20	1.37%
კანონი და სამართალი	0:54:19	1.04%
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:29:23	0.56%
თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)	0:22:30	0.43%
სახალხო პარტია	0:18:12	0.35%
თეთრები	0:15:32	0.30%
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა	0:14:35	0.28%
თამაზ მეჯიაური ერთიანი საქართველოსთვის	0:13:32	0.26%
ევროპელი სოციალისტები	0:13:31	0.26%
ევროპელი დემოკრატები	0:12:39	0.24%
მემარცხენე ალიანსი	0:10:47	0.21%
ვადამდელი არჩევნები - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა	0:10:30	0.20%
დამოუკიდებელი კანდიდატი	0:09:52	0.19%
გოგი წულაია ახალი ქრისტიან-დემოკრატები	0:08:29	0.16%
გიორგი ლაღიძე - მომავალი საქართველო	0:07:17	0.14%
საქართველო	0:04:32	0.09%
პროგრესი და თავისუფლება	0:01:37	0.03%

ცხრილი N2 – „მოამბეში" და „ახალ კვირაში" საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით. ცხრილი არ ასახავს სუბიექტებს 1 წუთზე ნაკლები მაჩვენებლით

საარჩევნო სუბიექტები	პირდ.	ირიბი
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	13:35:48	11:39:37
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	11:18:33	16:18:15
ლელო	5:20:12	2:03:53
მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	4:17:46	1:12:22
გირჩი	2:15:25	0:17:21
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის	2:11:16	1:26:35
გახარია - საქართველოსთვის	2:07:05	1:40:07
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	1:04:59	0:12:42
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება	1:01:38	0:48:44
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	1:00:21	0:34:25
ანა დოლიძე - ხალხისთვის	0:51:21	0:19:59
ელენე ხოშტარია - დროა	0:46:33	0:25:33
კანონი და სამართალი	0:41:22	0:12:57
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:19:10	0:10:13
თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)	0:16:44	0:05:46
თეთრები	0:14:15	0:01:17
სახალხო პარტია	0:13:43	0:04:29
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა	0:11:44	0:02:51
თამაზ მეჯიური ერთიანი საქართველოსთვის	0:11:00	0:02:32
ევროპელი სოციალისტები	0:10:47	0:02:44
ევროპელი დემოკრატები	0:10:43	0:01:56
მემარცხენე ალიანსი	0:09:52	0:00:55
გოგი წულაია ახალი ქრისტიან-დემოკრატები	0:07:58	0:00:31
ვადამდელი არჩევნები - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა	0:06:46	0:03:44
დამოუკიდებელი კანდიდატი	0:06:26	0:03:26
გიორგი ლაღიძე - მომავალი საქართველო	0:04:45	0:02:32
საქართველო	0:02:33	0:01:59
პროგრესი და თავისუფლება	0:00:52	0:00:45

გრაფიკი N1 – „მოამბეში" და „ახალ კვირაში" საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი



მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა მთელი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მიმართული იყო საარჩევნო სუბიექტების თანაბარ და დაბალანსებულ გაშუქებაზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ორი დაპირისპირებული პოლიტიკური პოლუსის გაშუქებისას ბალანსის დაცვას. მნიშვნელოვანია, რომ საუკეთესო საეთერო დროის მონიტორინგის შედეგებში, პრაიმ თაიმში, „მოამბე 18:00", „მოამბე 21:00", „ახალი კვირა" და მოამბის სპეციალური გამოშვებები გამოირჩევა დროის მაქსიმალურად თანაბარი გადანაწილებით ორ პოლიტიკურ პოლუსს შორის.

გრაფიკი N2 - საუკეთესო საეთერო დროში საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით, 13 აგვისტოდან 30 ოქტომბრამდე

როგორც აღვნიშნეთ, მონაცემებში აისახა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტების მკვეთრი პოლარიზაცია. სუბიექტების გაშუქების ტონის მიხედვით, გამომსვლელების საუბრისას ყველაზე მაღალი როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მიმართ.

ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებელი გაშუქების ტონის ნეიტრალურ მაჩვენებლებს ინარჩუნებს.

ცხრილი N3 – „მოამბეში" და „ახალ კვირაში" პირველი 15 საარჩევნო სუბიექტის გაშუქების ტონი დათმობილი დროის მითითებით.

საარჩევნო სუბიექტები	ნეგატიური	ნეიტრალური	პოზიტიური
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	3:50:45	22:14:04	1:31:59
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	3:47:24	20:04:16	1:23:45
გახარია - საქართველოსთვის	0:15:54	3:19:40	0:11:38
ლელო	0:07:26	6:58:00	0:18:39
მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	0:02:17	4:53:40	0:34:11
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის	0:01:40	3:21:32	0:14:39
ელენე ხოშტარია - დროა	0:01:19	1:05:55	0:04:52
ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება	0:01:04	1:43:05	0:06:13
კანონი და სამართალი	0:00:58	0:52:34	0:00:47
ანა დოლიძე - ხალხისთვის	0:00:35	1:00:29	0:10:16
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:00:23	1:23:01	0:11:22
დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:00:17	0:25:14	0:03:52
გირჩი	0:00:07	2:29:56	0:02:43
სახალხო პარტია	0:00:03	0:15:24	0:02:45
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0:00:00	1:14:44	0:02:57

გრაფიკი N3 – „მოამბეში" და „ახალ კვირაში" პირველი 15 საარჩევნო სუბიექტის გაშუქების ტონი პროცენტული გადანაწილებით. 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი



6 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს, „მოამბე 18:00" საათზე მაყურებელს სთავაზობდა ინტერვიუებს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევებში მონაწილე კვალიფიციურ სუბიექტებთან. გადაცემაში მონაწილეობის რიგითობა სუბიექტებისთვის მინიჭებული საარჩევნო ნომრით განისაზღვრა. პირველი ტურის შემდეგ ინტერვიუების ციკლი გაგრძელდა. მოამბემ 28 ოქტომბრის ჩათვლით გადასცა 38 ინტერვიუ.

ცხრილი N4 - „მოამბე 18:00" - მოწვეული საარჩევნო სუბიექტები/გამომსვლელები

მოამბე 18:00 - „არჩევნები 2021"			
#	პარტიის დასახელება	გამომსვლელი	თარიღი
1	თამაზ მეჯიური - ერთიანი საქართველოსთვის	თამაზ მეჯიური	28.10.21
2	გახარია - საქართველოსთვის	ბერდია სიჯინავა	26.10.21
3	ლელო	ანა ნაცვლიშვილი	26.10.21
4	ქართული ოცნება	არჩილ ჩიქოვანი	25.10.21
5	ნაციონალური მოძრაობა	გიორგი ბოტკოველი	25.10.21
6	ნაციონალური მოძრაობა	გიორგი კირთაძე	22.10.21

7	ქართული ოცნება	ნინო ლაცაბიძე	21.10.21
8	ნაციონალური მოძრაობა	დავით კირკიტაძე	20.10.21
9	ლელო	ანა ბიბილაშვილი	20.10.21
10	ქართული ოცნება	გიორგი ამილახვარი	15.10.21
11	კანონი და სამართალი	თამარ ჩარკვიანი	7.10.21
12	ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	ლევან იოსელიანი	6.10.21
13	ანა დოლიძე ხალხისთვის	ანა დოლიძე	5.10.21
14	გირჩი	სანდრო რაქვიაშვილი	4.10.21
15	თეთრები	თემურ შაშიაშვილი	29.09.21
16	ევროპელი სოციალისტები	ფრიდონ ინჯია	28.09.21
17	ახალი ქრისტიან დემოკრატები	გოგი წულაია	27.09.21
18	ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	მამუკა აჩბა	26.09.21
19	სახალხო პარტია	მამუკა გიორგაძე	25.09.21
20	მემარცხენე ალიანსი	იოსებ შატბერაშვილი	24.09.21
21	ტრიბუნა	დავით ჭიჭინაძე	23.09.21
22	გირჩი მეტი თავისუფლება	ბადრი გრიგალაშვილი	22.09.21
23	თავისუფალი საქართველო	კახა კუკავა	21.09.21
24	ქართული ოცნება	გიორგი ამილახვარი	20.09.21
25	ანა დოლიძე ხალხისთვის	ანა დოლიძე	19.09.21
26	ნაციონალური მოძრაობა	ხატია დეკანოიძე	18.09.21
27	გირჩი	როლანდ ნაჭყებია	17.09.21
28	ლეიბორისტული პარტია	მიხეილ ქუმსიშვილი	16.09.21
29	ლელო	ნიკა ჩერქეზიშვილი	15.09.21
30	პატრიოტთა ალიანსი	მალხაზ თოფურია	14.09.21
31	ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	ალეკო ელისაშვილი	13.09.21
32	ნაციონალური მოძრაობა	დავით კირკიტაძე	12.09.21
33	მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	სერგო ჩიხლაძე	11.09.21
34	ევროპელი დემოკრატები	პაატა დავითაია	10.09.21
35	ნაციონალური მოძრაობა	ნიკა ობოლაძე	09.09.21
36	კანონი და სამართალი	თამარ ჩარკვიანი	08.09.21
37	ევროპული საქართველო	გიორგი ნონიაშვილი	07.09.21
38	მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი	სერგო ჩიხლაძე	06.09.21
39	პროგრესი და თავისუფლება	კახა ოქრიაშვილი	შეთავაზებული დრო არ გამოიყენა

მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტები

წინასაარჩევნო პერიოდში, ამომრჩეველთან, საარჩევნო სუბიექტების გარდა, კომუნიკაციაშია მთავრობის, პარლამენტის, პრეზიდენტის აპარატის, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები. ანგარიშში ნაჩვენებია ჩვენს მიერ გამოყოფილი არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება „მოამბის" და „ახალი კვირის" ყველა გამოშვებაში.

მონიტორინგის პროცესში მთავრობის გამომსვლელებად ჩათვლილია: პრემიერ მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებულები/მოვალეობის შემსრულებლები, მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ცხრილი N5 - მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით

არასაარჩევნო სუბიექტები	პირდ.	ირიბი
მთავრობა	09:48:02	06:24:54
პარლამენტი	01:30:21	01:27:48
ადგილობრივი თვითმმართველობები	01:13:08	00:54:03
პრეზიდენტი	00:06:02	00:10:46

ანგარიშის ფარგლებში მოხდა მთავრობის გაშუქების თემატური მიმოხილვა პროცენტული მაჩვენებლის მითითებით, სადაც 100%-ად ითვლება საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებით გაშუქებული ინფორმაციის საერთო რაოდენობა (1077 ერთეული). მთავრობის აქტივობები, განცხადებები და კომენტარები საზოგადოების მაღალი ინტერესის შემცველ ისეთ თემებზე შუქდებოდა როგორიც არის: ეპიდემიოლოგიური ვითარება და იმუნიზაციის პროცესი (14.76%), საქართველოს საგარეო პოლიტიკური პროცესები, პრემიერ- მინისტრისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტები სხვადასხვა ქვეყნებში, შეხვედრები, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პრემიერის გამოსვლა, ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხები (20.15%), ეკონომიკა, სოციალური პროგრამები, ბიუჯეტის განხილვა, ტურიზმი და ინფრასტრუქტურა (15.04%), ოკუპაცია, ჟენევის მოლაპარაკებები, საქართველოს მოქალაქეების დაკავება (5.66%), მთავრობის წევრები განცხადებებს აკეთებდნენ მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლასა და პატიმრობასთან დაკავშირებით (8.91%), მთავრობა ასევე გაშუქდა ბათუმის ტრაგედიის კონტექსტში (4.28%)

კატეგორია „სხვა"- (8.08%) გაშუქდა: გავრცელებული ჩანაწერების საქმე, ქაბულიდან საქართველოს მოქალაქეების გამოყვანა, სტიქია სხვადასხვა რეგიონში, კლიმატის ცვლილების საკითხები და სხვ.

გრაფიკი N4 - „მოამბეში" და „ახალ კვირაში" მთავრობის გაშუქება თემების მიხედვით

სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით

წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში გაიზომა პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემაში სუბიექტების (გამომსვლელების) რაოდენობრივი მონაცემები სქესის მიხედვით.

მონიტორინგის სუბიექტების გარდა სქესის ჭრილში დაკვირვება მიმდინარეობდა გადაცემის წამყვანებზე, ჟურნალისტზე და პირველი არხის ექსპერტებზე.

ნებაყოფლობითი გენდერული კვოტის დაცვით დაკომპლექტებული პარტიების დაფინანსების ზრდის მიუხედავად, წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ საარჩევნო სუბიექტების ყველაზე აქტიურ სპიკერებად კაცები რჩებიან.

გრაფიკი N5 - „მოამბის" ყველა გამოშვებაში და გადაცემაში „ახალი კვირა" მონიტორინგის სუბიექტების რაოდენობრივი მონაცემები სქესის მიხედვით, პროცენტული გადანაწილება

გრაფიკი N6 - პირველ არხზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემაში გაშუქებული საარჩევნო სუბიექტების რაოდენობრივი მონაცემების პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით. მონაცემები ასახავს პირველ არხზე გაშუქებულ 15 საარჩევნო სუბიექტს დათმობილი დროის მაღალი მაჩვენებლით

საარჩევნო სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით



გრაფიკი N7 - პირველი არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის წამყვანის, ჟურნალისტის და ექსპერტის მონაცემები სქესის მიხედვით



საქართველოს რადიო

(13 აგვისტოდან 30 ოქტომბრის ჩათვლით)

„საქართველოს რადიოს" ეთერში ყოველ სამუშაო დღეს 33 სხვადასხვა ქრონომეტრაჟის საინფორმაციო პროგრამა გადაიცემა, ხოლო შაბათ-კვირას ეთერშია 17 ხუთ წუთიანი გადაცემა.

რადიოს მონიტორინგის ანგარიშში წარმოდგენილია საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო და არასაარჩევნო სუბიექტების გაშუქების რაოდენობრივი მონაცემები.
მონიტორინგის პროცესში გაიზომა:

- საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო თემების გაშუქების დრო
- საინფორმაციო გადაცემებში საარჩევნო სუბიექტების ირიბი გაშუქება, ქრონომეტრაჟის და ტონის მიხედვით
- საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის არასაარჩევნო სუბიექტების ირიბი გაშქება

საინფორმაციო გამოშვებები

რადიოს საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტებად საარჩევნო სუბიექტების გარდა ჩათვლილია მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობები, პარლამენტი, პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილის გაშუქება ჩათვლილია ნაციონალური მოძრაობის, ხოლო ბიძინა ივანიშვილის - ქართული ოცნების გაშუქებად.

საინფორმაციო პროგრამის ფორმატი მიმდინარე მოვლენების შესახებ მოკლე, მარტივად აღქმად ინფორმაციაზეა ორიენტირებული, სხვადასხვა სუბიექტის მიერ დღის მანძილზე გაკეთებულ განცხადებებს ჟურნალისტები ციტირებენ. აღნიშნული სარედაქციო პოლიტიკა, რადიოს საინფორმაციო გადაცემების სპეციფიკის და რაოდენობის გათვალისწინებით, მიმართულია დაბალანსებული და ოპერატიული გაშუქების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად რადიოს საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტები გაშუქებულია ირიბად. ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების მაღალი ირიბი გაშუქების მაჩვენებელი ადასტურებს, რომ რადიოს საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტად აისახა წინასაარჩევნო გარემოში მკვეთრად პოლარიზებული პოლიტიკური პროცესი. ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლის და მისი დაკავების ფაქტებმა. არჩევნების პირველი და მეორე ტურის მიმდინარეობისას აღნიშნული მოვლენების შესახებ განცხადებები და შეფასებები დომინანტურად შუქდებოდა „საქართველოს რადიოს" ეთერში.

ანგარიშში მითითებულ პერიოდში რადიოს საინფორმაციო გადაცემებში არჩევნებთან დაკავშირებული თემების გაშუქებას დაეთმო 39:10:57 საათი. დრო დაეთმო 30 საარჩევნო სუბიექტს (დამოუკიდებელი კანდიდატების გაშუქება წარმოდგენილია ჯამურად), სუბიექტების გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟია 33:08:09 (ოცდაცამეტი საათი, რვა წუთი და ცხრა წამი). უნდა აღინიშნოს, რომ რადიოს საინფორმაციო გადაცემებში გამოიკვეთა ზოგადად ოპოზიციის ირიბი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი, იგულისხმება ტექსტები, სადაც დასახელებული არ იყო არცერთი კონკრეტული პარტია, ამიტომ ამ მონაცემს წარმოგიდგენთ ცალკე - 2:30:28 (ორი საათი, ოცდაათი წუთი და ოცდარვა წამი)

გრაფიკი N8 – „საქართველოს რადიოს" საინფორმაციო გამოშვებებში საარჩევნო სუბიექტების ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი. გრაფიკი არ ასახავს სუბიექტებს 2 წუთზე ნაკლები მონაცემით.

საარჩევნო სუბიექტები-ქრონომეტრაჟი
(საქართველოს რადიო)



საინფორმაციო გადაცემებში გაშუქების ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონი დაუგროვდა „ქართულ ოცნებას'' და „ნაციონალურ მოძრაობას'', რაც აჩვენებს პოლარიზებული პოლიტიკური პროცესის მთავარ დაპირისპირებულ მხარეებს. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ გასული წლის მსგავსად შენარჩუნებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან სუბიექტების გაშუქების მაღალი ნეიტრალური ტონი.

გრაფიკი N9 - პირველი 15 საარჩევნო სუბიექტის გაშუქების ტონის პროცენტული მაჩვენებელი



ცხრილი N6 - არასაარჩევნო სუბიექტების ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟი რადიოს ყველა საინფორმაციო გადაცემაში

არასაარჩევნო სუბიექტები	ირიბი
მთავრობა	5:10:03
პრეზიდენტი	1:29:31
პარლამენტი	1:24:51
ადგილობრივი თვითმმართველობები	1:11:42

რეკლამა

პირველ არხზე და საქართველოს რადიოში(FM 102,3) საარჩევნო სუბიექტების მიერ (2021 წლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველის თემის მერის არჩევნების ორივე ტურში) ათვისებული უფასო სარეკლამო დრო

13 აგვისტოდან - 2 ოქტომბრამდე პერიოდში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად უფლებამოსილი პარტიებისთვის საკუთარ ეთერში გამოყო ყოველ საათში 5 წუთი და კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, სხვა პარტიის წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების მიზნით - ყოველ საათში 5 წამი თითოეული სუბიექტისთვის.

არჩევნების მეორე ტურში - 18 ოქტომბრიდან - 29 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად საარჩევნო სუბიექტებისთვის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარ ეთერში გამოყო ყოველ საათში 5 წუთი და უფასო საეთერო დრო განაწილდა მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს შორის იმ პროპორციით, რომლითაც არიან წარმოდგენილი ეს საარჩევნო სუბიექტები შესაბამის საარჩევნო ოლქში (ოლქებში) მეორე ტურში მონაწილეობისათვის.

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებრივ მაუწყებელში წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან ან/და წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქებასთან დაკავშირებით საჩივარი არ შემოსულა.

ყოველკვირეული ინფორმაცია თავსდებოდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალურ ვებ-ვებგვერდებზე.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი პოლიტიკური რეკლამა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არ განთავსებულა.

ცხრილი N9 - პირველ არხზე საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დრო. საანგარიშო პერიოდი 13 აგვისტო - 29 ოქტომბერი

საარჩევნო სუბიექტები	კლიპის გასვლის რაოდენობა	უფასო საეთერო დრო (წამები)
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო N41	3559	68736
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა N5	1765	41157
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი N8	2149	34061
ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები N7	1525	33758
მესამე ძალა N1	2494	32559
შალვა ნათელაშვილი -საქართველოს ლეიბორისტული პარტია N10	1601	31148
ლელო N9	1851	31079
ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის N2	1396	29050

გირჩი N36	2128	22174
ევროპელი დემოკრატები N6	2960	20991
თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა) N37	303	4545
გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია N50	642	3210
ბათუმის მერობის დამოუკ. კანდიდატი გია ხალვაში	193	2933
გახარია - საქართველოსთვის N25	439	2634
ევროპელი სოციალისტები N19	168	2520
რეფორმერი N17	409	2045
საქართველო N13	222	1670
თამაზ მეჯიაური ერთიანი საქართველოსთვის N38	192	960
სახალხო პარტია N44	48	288

ცხრილი N10 - საქართველოს რადიოში საარჩევნო სუბიექტების მიერ ათვისებული უფასო სარეკლამო დრო. საანგარიშო პერიოდი 13 აგვისტო - 29 ოქტომბერი

საარჩევნო სუბიექტი	უფასო საეთერო დრო (წამები)
ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო N41	61560
ევროპელი დემოკრატები N6	30144
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა N5	23760
ლელო N9	22320
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი N8	18560
მესამე ძალა N1	15360
გაჩეჩილაძე-მწვანეთა პარტია N50	3600
ევროპელი სოციალისტები N19	1560